

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ აისი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2020

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7-11

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	10
შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	11
შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა	11
შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	11

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე



სულიკო ცეცხლაძე




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აისი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)


შინაარსი	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	57475	121 541	65 988
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2206381	2 270 236	2 261 658
მარაგი	233534	434 326	637 791
სხვა მიმდინარე აქტივები	1509006	2 625 129	2 823 006
სულ მიმდინარე აქტივები	4 006 396	5 451 232	5 788 443
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	275680	463 642	500 343
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	275 680	463 642	500 343
სულ აქტივები:	4 282 076	5 914 874	6 288 786
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1 506 746	1 596 074	1 031 154
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		0	0
საგადასახადო ვალდებულებები	2 592		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1 509 338	1 596 074	1 031 154
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	6 442	6 442	6 442
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	697145	292 438	508 346
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	703 587	298 880	514 788
სხვა ვალდებულებები	1 548 313	2 617 440	2 775 439
სულ ვალდებულებები	4 761 238	4 512 394	4 321 381
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	15000	15 000	197 000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	505838	1 387 480	1 770 405
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	520 838	1 402 480	1 967 405
სულ საკუთარი კაპ-ლი და ვალდებულებები	4 282 076	5 914 874	6 288 786

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე



სულიკო ცეცხლაძე



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " აისი "

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შინაარსი	შენიშვნა	30.12.2019	31.12.2018
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან		8409688	11 088 753
მომსახურების გაწევიდან		2318	24 168
სხვა შემოსავლები		698	
საწყისი მარაგები		-434326	-637 791
შეძენილი ნედლეული და მასალები		-7614386	-9 989 565
გადამუშავების დანახარჯები			-155 158
საბოლოო მარაგები		233534	434 326
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		-157245	-197 250
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		-51255	-36 701
საპროცენტო ხარჯი		-59970	-47 231
იჯარის ხარჯი		-274817	-333 341
კომუნალური ხარჯები		-26800	
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		-52063	-41 767
ფინანსური ხარჯები			
წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) სავალიუტო ოპერაციებიდან		5977	
მოგება დაბეგვრამდე		-18 647	108 443
საგადასახადო ხარჯი			
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		-18 647	108 443
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში			
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1 402 480	1 967 405
დივიდენდები		730332	673 368
განაცემები კაპიტალიდან			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		132663	
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		520 838	1 402 480

ხელმძღვანელობის სახელით:


ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი



ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აისი"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

შინაარსი	კაპიტალი	რეზ-ბი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
01.01.2018 ნაშთი	0	0	1 967 405	1 967 405
კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება				0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			108 443	108 443
გაცემული დივიდენდი			-673 368	-673 368
31.12.2018 ნაშთი	0	0	1 402 480	1 402 480
კაპიტალის ზრდა/შემცირება				0
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება			-132 663	-132 663
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			-18 647	-18 647
გაცემული დივიდენდი			-730 332	-730 332
31.12.2019 ნაშთი	0	0	520 838	520 838

ხელმძღვანელობის სახელით:


ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი



ზუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აისი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)


ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-66 384	41 554
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	2 318	13 999
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-64 066	55 553
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	121 541	65 988
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	57 475	121 541

ხელმძღვანელობის სახელით:


ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი



ბუღალტერი



შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისი“ რეგისტრირებულია 2011 წლის 12 სექტემბერი. საზოგადოების საინდენტიფიკაციო კოდია 445401093.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი ტაბიძის ქ. №31, ბინა 32

საზოგადოების ფაქტობრივი მისამართია: ქ. ბათუმი აეროპორტის გზატკეცილი 249ე

საწარმოს დაფუძნებული პარტნიორი და 100 % წილის მფლობელია ფიზიკური პირი ბადრი ვარშანიძე 3/6 61006000195.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა:

- საბითუმო ვაჭრობა დიზელისა და ბენზინის საწვავით

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს საქართველოში, რამდენადაც საწარმოო სარეალიზაციო საქონელს შეიძენს როგორც საქართველოში ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ფულადი სახსრების ხარჯვა ხდება როგორც საქართველოში ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საწარმოს ფინანსური ანგარიშსწორება ქვეყნის შიგნით ხორციელდება ეროვნულ ვალიუტაში, ხოლო უცხოელ მომწოდებლებთან უცხოურ ვალიუტაში. ოპერაციები საბუღალტრო აღრიცხვის მასალებში ლართან მიმართებაში აღრიცხულია ლარში ხოლო უცხოურ ვალიუტაში ოპერაციის განხორციელებისას ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად. გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2019 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით,

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი

ბუღალტერი



სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%


ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი

ბუღალტერი



ოფისის აღჭურვილობა

15%-20%

სატრანსპორტო საშუალებები

20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

საზოგადოებას გააჩნია საიჯარო სასარგებლოებაში მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით სადაც აშენებულია სავაჭრო ობიექტი შერეული საქონლისათვის და აქვე მოწყობილია ავტო გასამართი სადგური, საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია 15 წლის და ხელსეკრულების გაფორმებიდან გასულია სამი წელი. საიჯარო ხელსეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სენობები გადაეცემა მეიჯარე სასყიდლიტ ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი

ბუღალტერი



დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

მენიშენა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი

ბუღალტერი



ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ საზოგადოების მიერ გაუქმებული იქნა საიჯარო ხელშეკრულება მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით აღების შესახებ. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული იყო 15 წლისთ და ხელშეკრულების გაფორმებიდან გასულია ოთხი წელი. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს შეთანხმება აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობების მეიჯარეზე გადაცემისა და ანგარიშსწორების შესახებ.

ამავე პერიოდში საზოგადოების მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე იჯარით აღებული იქნა ანალოგიური წარმადობის ქონება, ისე რომ საზოგადოებას სამეურნეო საქმიანობაში (საწვავ საპოხი მასალების რეალიზაცია) არსებითი ცვლილებები არ ჰქონია.

რამდენადაც საზოგადოების საქმიანობას წარმოადგენს საწვავ საპოხი მასალების რეალიზაცია საანგარიშო პერიოდის შემდგომ პერიოდისათვის პანდემიას (კოვიდ 19) მის საქმიანობაზე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია და მის შემოსავლებსა და ხარჯებში არსებით ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 25 ოქტომბერს.

შპს „აისი“

დირექტორი

ბუღალტერი

ბადრი ვარშანიძე


სულიკო ცეცხლაძე

ხელმძღვანელობის სახელით:

ბადრი ვარშანიძე

სულიკო ცეცხლაძე

გენერალური დირექტორი



ბუღალტერი

